“მოყვასი 2012”

თბილისი „ 28 “ ივლისი 2014 წელი

თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შპს „მოყვასი 2012“-ის დირექტორის

თედო სვანიძის

ტელ: 599140786

<u>დაინტერესებული მხარის მოსაზრება (პოზიცია)</u>

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის წარმოებაშია შპს „მოყვასი 2012“-ის განაცხადი, რომლითაც კომპანია ითხოვს თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზ. # 29-31-33-ზე შპს მშენებლობის ნებართვის გაცემას.

მიმდინარე წლის 26 ივლისს ჩატარდა საკითხის განსახილველი სხდომა, სადაც გაირკვა, რომ დაინტერესებული მხარის სტატუსით მოწვეული ამხანაგობა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის თავმჯდომარეს არ ეცნობა კანონით გათვალისწინებული წესით სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, რაც სხდომის თავმჯდომარის განცხადებით გახდა სხდომის გადადების მიზეზი, რასაც ჩვენი მხარე არ დაეთანხმა.

ვაფიქსირებთ ჩვენი მხარის პოზიციას განსახილველ განცხადებასთან მიმართებაში და ვიყენებთ უფლებას სხდომაზე დასწრების გარეშე წარმოგიდგინოთ ჩვენი პოზიცია წერილობითი ფორმით რაც უთუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნას გადაწყვეტილების მიღებისას.

გაუგებარია და კანონშეუსაბამო ამხანაგობა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ის ადმინისტრაციული წარმოების სხდომაზე დაინტერესებული პირის სტატუსით მოწვევა, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლის დანაწესი ადგენს - „ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“. აღნიშნული ნორმა ცალსახად ამბობს, რომ ადმ. წარმოებაში უნდა იქნას ჩართული პირი-ორგანიზაცია რომელსაც რაიმე სახით ეხება განსახილველი საკითხი, რაც ჩვენს შემთხვევაში ვერანაირად ვერ ესადაგება ამხანაგობას, ვინაიდან არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი ზემოთ მითითებულ საკითხს მათ მიმართებაში არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩენს მოთხოვნას მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, ნათელია, რომ კომპანიამ არქიტექტურის სამსახურს მიაწოდა ყველა ის დოკუმენტაცია, რაც საჭიროა მოთხოვნილი ნებართვის გასაცემად, მათ შორის აღმოფხვრილ იქნა ყველა ის ხარვეზი, რომელზეც შესაბამისი აქტით მიგვითითა არქიტექტურის სამსახურმა.

გვსურს ავღნიშნოთ, რომ ამხანაგობა „ჭავჭავაძე-ვაკე 2001“-ს გააჩნია, თავიანთი მერკანტილური ინტერესები, რის გამო მათი ქმედებები ცდება კანონიერებისა და ზნეობის ყოველგვარ ნორმებს, ატარებს ზეწოლით ხასიათს, რაც რეალურად და უხეშად ხელყოფს ჩვენი კომპანიის კანონიერ ინტერესებს. ამხანაგობის ერთადერთი არგუმენტი გახლავთ ე.წ.

გაზმარეგულირებელ პუნქტსა და ასაშენებელ შენობას შორის მანძილი, რომელიც მათი განმარტებით უნდა შეადგენდეს 10 მეტრს და რის გამოც მათ ეზღუდებათ თავიანთი კონსტიტუციური „უფლება იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში“. აღნიშნულის აბსურდულობასა და უსაუძვლობაზე სხვა დოკუმენტებთან ერთად მეტყველებს ჩვენი დაკვეთით ჩატარებული აზომვა, რომლითაც დადგინდა, რომ გაზმარეგულირებელ პუნქტსა და ამხანაგობის კუთვნილ შენობას შორის მანძილი არის 9 მეტრი და 25 სანტიმეტრი, რასთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდია.

გარდა აღნიშნულისა წარმოგიდგენთ გაზის კომპანიის წერილებსა და მომართვებს სადაც ცალსახად არის აღნიშნული არსებული საკითხის კანონიერი გზებით დარეგულირების საშუალებები, რაც რეალურად შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს.

ყაზტრანსგაზ თბილისი ცალსახად აღნიშნავს, რომ გ.მ.პ. არსებობა არ შეიძლება გახდეს მშენებლობის შემზღუდავი საფუძველი, რაც დასაბუთებული და განმარტებულია მათ წერილში.(იხ დანართი)

მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ჩვენი კომპანიის მიერ მოთხოვნილი მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ვარის თქმის, როგორც სამართლებრივი ისე ფაქტობრივი საფუძველი, რაც უნდა გახდეს ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს.

დანართი ___5___ ფურცელი.

პატივისცემით შპს „მოყვასი 2012“-ის დირექტორი:
/თედო სვანიძე/

ს/კ 404927656 მის: თბილისი, ფალიაშვილის # 114; Email: mokvasi2012@gmail.com ტელ: 599140786

№ 01-09-01/1319 "17" 07 2014 წ/წ

შპს „მოყვასი 2012"-ს დირექტორს
ბ-ნ თ. სვანიძეს,
ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114,
ტელ. 599 14 07 86

ბატონო თედო,

თქვენს მიერ 2014 წლის 17 ივლისის №07/01 წერილით (შემ. №10785 17.07.2014წ.) წარმოდგენილი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1389023 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში განთავსებული კაპიტალური გაზმარეგულირებელი პუნქტის (შემდეგ - გმპ) მდებარეობა არ არის შემზღუდველი და ხელისშემშლელი ფაქტორი ამავე მისამართზე (ნაკვ. №04/023) განსათავსებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის როგორც საპროექტო, ასევე მშენებლობის სტადიებზე. ვინაიდან სამშენებლო ნორმებისა და წესების (2.04.08-87 „გაზმომარაგება", ცხრილი №10) თანახმად განსაზღვრული მინიმალური დაშორება შეეხება სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობებს, რომლებიც ფუნქციონირებენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საცხოვრებელი კორპუსის თქვენს მიერ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოითხოვს დროის საკმაო პერიოდს (შესაძლოა 2-3 წელს). შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების" მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად შესაძლებლობა გაქვთ აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები იმ პირობით, რომ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში" თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება შესათანხმებლად სამუშაოების წარმოების გეგმის პროექტი, ხოლო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებული გაზსადენები და გაზმარეგულირებელი პუნქტი სამუშაოების წარმოების პროცესში არ დაზიანდება და უზრუნველყოფილ იქნება მათი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

ამასთან გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე კომპანია განიხილავს ქ. თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ოპტიმიზაციის გეგმას, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ასევე არსებული გაზსადენებისა და გაზმარეგულირებელი პუნქტების რეაბილიტაცია და განახლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის დასრულების მომენტისთვის, შესაძლებლად მიგვაჩნია თქვენს საკუთრებაში

საქართველო, თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ. ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge

Грузия, Тбилиси, 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл. почта: info@ktg-tbilisi.ge

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge

034431

არსებულ ტერიტორიაზე კარადული ტიპის ახალი გაზმარეგულირებელი პუნქტის (როგორც არსებული გმპ-ს ალტერნატიული გაზგამანაწილებელი წყაროს) მოწყობის საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

პატივისცემით,

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“
სპეციალური მმართველი ირაკლი გაბუნია

შემს.: თ. ღვანიძე
595 11 70 07

KazTransGas
TBILISI

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“
ООО “КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ”

№ 01-09-01/1247 “ 10 ” 07 2014 წ/თ

შპს „მოყვასი 2012“-ს დირექტორს
ბ-ნ თ. სვანიძეს,
ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114,
ტელ. 599 14 07 86

ბატონო თედო,

2014 წლის 07 ივლისის №05/22 წერილის (შემ. №10286 07.07.2014წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-5 მუხლის და სამშენებლო ნორმებისა და წესების (2.04.08-87* „გაზმომარაგება“, პუნქტი 2.2.) მოთხოვნათა თანახმად საშუალო წნევის გაზასდენებში გაზის მუშა წნევა შეადგენს 0,005 მეგპა-დან 0,3 მეგპა-მდე.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ (შემდეგ - „მოთხოვნები“) მე-17 მუხლის მოთხოვნათა თანახმად გაზმარეგულირებელი პუნქტებიდან (მათ შორის ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში განთავსებული კაპიტალური გაზმარეგულირებელი პუნქტიდან) საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის მისაწოდებელი გაზის წნევა არ უნდა აღემატებოდეს 0,003 მეგპა-ს.

ამასთან, „მოთხოვნების“ 21-ე დანართის და სამშენებლო ნორმებისა და წესების (2.04.08-87* „გაზმომარაგება“, ცხრილი №1 და პუნქტი 2.4.) მოთხოვნათა თანახმად შენობებს შიგნით გაყვანილ გაზსადენებში გაზის წნევის მაქსიმალურად დასაშვები სიდიდე შეადგენს: საცხოვრებელი სახლების შემთხვევაში 0,003 მეგპა-ს; არასაწარმოო ხასიათის საყოფაცხოვრებო საწარმოების და საზოგადოებრივი შენობების შემთხვევაში - 0,005 მეგპა-ს.

პატივისცემით,

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“
სპეციალური მმართველი ირაკლი გაბუნია

შემს.: თ. ღვანიძე
595 11 70 07

საქართველო, თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ. ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge

Грузия, Тбилиси, 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл. почта: info@ktg-tbilisi.ge

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge
Website: http://www.ktg-tbilisi.ge/

გმპ-ში შემავალი წნევა მპა (კგ/სმ²)	მოცილება სიოში ცალკე მდგომი გმპ-დან ჰორიზონტალურად მ-ში			
	შენობა ნაგებობები	რკინიგზისა და ტრამვაის ხაზები უახლოეს რელსამდე	საავტომობილო გზები სავალი ნაწილის	საჰაერო ელ. გადამცემი ხაზები
0.6 (6)	10	10	5	არანაკლებ 1.5 ანძის სიმაღლისა
0.6 (6) ზემოთ 1.2 (12)მდე	15	15	8	იგივე
შენიშვნა: მოცილება აიღება შენობის გარე კედლიდან ან გმპს ყუთიდან თუ დანადგარი განთავსებულია ღია მოედანზე შემოღობვის კიდიდან				

დასაშვებია კარადული ტიპის გმპ-ს საცხოვრებელი სახლის გარე კედელზე დაყენება თუ გმპ-ში სემავალი გაზის წნევა არ არემატება 0.3 მპა (3კგ/სმ²)-ს.

კარადული ტიპის გმპ-ს გარე კედელზე დაყენების შემთხვევასი მოცილება კარადიდან სარკმელამდე, კარებამდე და სხვა ღიობებამდე ჰორიზონტალურად უნდა იყოს არანაკლებ 3მ-ისა, ხოლო ვერტიკალურად 5მ. (იხ. ამავე წესების პუნქტი 5.6*)

დასკვნა

ბატონო თედო

ჩემს მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა არსებული გმპ და დადგინდა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია სირთულეს არ წარმოადგენს არსებული გმპ გადაკეთდეს კარადული ტიპის გპმ-თი.

თუ თქვენ გსურთ, რომ აღმოფხვრათ თქვენს ობიექტზე არსებული დარღვევა თვენს მშენებარე სახლსა და არსებულ ცალკე მდგომ გაზის მარეგულირებელ პუნქტს შორის, საჭიროა არსებული გმპ შეიცვალოს კარადული ტიპის გმპ-თი, რომელიც შეგიძლიათ მიადგათ თქვენს მშენებარე საცხოვრებელი სახლის კედელს.

დამოუკიდებელი ექსპერტი /დ. ჩახტაური/

GEOLAND
Tel: 92-25-53 e-mail:
info@geoland.ge www.geoland.ge



წითელი ხაზი

გაზის მილი

UTM სისტემის კოორდინატები

ტოპოგეგმა		
მისამართი:	ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N 29-31-33.	
დამკვეთი:	შ.პ.ს. "მოუვასი 2012"	
განყოფილების უფროსი		ვ. ენუქიანი
აზომა		ა.სოხაძე
დახაზა		ა.სოხაძე
მ: 1:500		26.06.2014